PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

ირაკლი მანველიძე

თამილა გრძელიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის 2 ივლისს განხორციელდა დისტანციური ვიზიტი კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (zoom-ის) გამოყენებით. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. დავათვალიერეთ A, B და C ტიპის გარემოები და ბიბლიოთეკა. მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მონაწილეობა ვიზიტში, რადგან სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების შემთხვევაში, არ უნდა იქმნებოდეს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ უნდა იწვევდეს უსდ ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური რესურსი, კერძოდ შენობა-ნაგებობები, ინვენტარი და აღჭურვილობა. დაწესებულებას პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის ცალკე აქვს გამოყოფილი 2 სასწავლო კორპუსი. ცალკე სტრუქტურული ერთეულის სახითაა ჩამოყალიბებული პროფესიული განათლების ცენტრი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვაში, ხოლო მოწვეული პრაქტიკოსი მასწავლებელები და დამხმარე პერსონალი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ვიზიტისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტის ირაკლი მანველიძის მიერ დადგინდა, რომ წარმოდგენილ პროფესიული პროგრამის დამატებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტების და დაწესებულეის ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში მიცემული რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით არ დაეთანხმნენ კატალოგში აკადემიური კალენდრის შესახებ ინფორმაციის ჩამატებას, ვინაიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღი მეტწილად დამოკიდებულია პროფესიული ტესტირების ჩატარების თარიღზე, რომელიც ყოველწლიურად ცვალებადია და დაწესებულება დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს აღნიშნულ თარიღებს.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპონენტი 2.4.1.

სასწავლო გეგმაში, წინაპირობების მქონე მოდულების შემთხვევაში, მოდულის დამთავრებასა და ახალი მოდულის დაწყებას შორის განისაზღვროს შუალედი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.

კომპონენტი 2.4.2.

შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს რომელი ინსტრუმენტი (უკვე გამოყენებული თუ სხვა) გამოიყენება სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების დროს, რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 მაისის № 6-19 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.გორი ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	75 - ქ.გორი ბესიკის N2 (მოდულური) (ერთ მიღებაზე 25 პროფესიული სტუდენტი)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	----
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიას. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მიზანია საგანამანათლებლო პროგრამების განვითარება, რაც თავის მხრივ ამოცანად ისახავს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას. უნივერსიტეტის მისიაა

უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება,რისთვისაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო) და პროფესიულ განათლებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა საქართველოს შრომის ბაზარზე ექთნის პროფესიაზე არსებული მოთხოვნა სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, კერძოდ, სოლიდარობის ქსელის მიერ ჩატარებული კვლევა „ექთნების შრომის პირობები საქართველოში“ (2019), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროფესიათა რეიტინგის კვლევა, სადაც საექთნო საქმის პროფესიონალები მზარდი პროფესიების ჩამონათვალშია მითითებული; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებს. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში არსებული ჩანაწერით: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები რეგულირდება საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“.

3.დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-15-ე მუხლით განსაზღვრული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც არის განსაზღვრული წარმოდგენილი პროგრამის ზღვრული რაოდენობა.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისია.

5. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6.უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცეულია უფლებამოსილი ორგანოს - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 მაისის № 6-19 დადგენილებით.

7. პროგრამის სახელწოდება იდენტურია ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, შესაბამისია მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „საექთნო განათლება“ საფუძველზე. პროგრამა ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასში განსაზღვრულია როგორც თეორიული და პრაქტიკული, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტიც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა 125 სასწავლო კვირაა. კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და მისი დანართები;

პროგრამის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;

დაწესებულების მისია და სტრატეგიული გეგმა;

გასაუბრებით;

ინტერვიუ;

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესეულებას საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული აქვს ბესიკის ქ.N2-ში მდებარე 5-ე კორპუსის აუდიტორიები. კერძოდ: N1 აუდიტორია განკუთვნილია B გარემოსთვის, მასში განთავსებულია 25 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო მაგიდა,სკამი, კომპიუტერი და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი, აღჭურვილი კომპიუტერითა და პროექტორით. აუდიტორიაში განთავსეულია ასევე დაფა და კომბაინი (პრინტერი-სკანერი-ქსეროქსი). N10 აუდიტორიაში განთავსებულია 25 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A ტიპის გარემო.

N9 აუდიტორია-საექთნო განათლების პროგრამის C გარემო. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია პროგრამის დანართში (მატერიალური რესურსი) განსაზღვრული აღჭურვილობის უმეტესი ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მცირე ნაწილი (სფიგმომანომეტრი,შპატელი, პინცეტი, ნემსდამჭერი, ოყნა, ყავარჯენი, სუდნო, სპირომეტრი, შშმ პირის ღამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქოთანი, სამედიცინო მაკრატელი, მაიოს მაგიდა, გრადიურებული ჭიქა, კონტაქტური თერმომეტრი,თირკმლისებრი თასი, თასი, სასწორი) შესყიდვის პროცესშია. დაწესებულებამ წარმოადგინა მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შესყიდვის ხელშეკრულებები გაფორმებულია **2020 წლის პირველ და 2 ივლისს. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად ერთ შემთხვევაში განსაზღვრულია 2 კალენდარული დღე, მეორე შემთხვევაში 7 კალენდარული დღე, ხოლო მესამე ხელშეკრულებით მიწოდების ვადად 2020 წლის 31 ივლისია განსაზღვრული.**

PDF Eraser Free

2.პროგრამის განხორციელებაში ჩართული (18 პროფესიული განათლების მასწავლებელი) პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამის განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ სწავლის შედეგის გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს რამდენიმე მათგანი ჩართულია მოდულური პროგრამებით სწავლებაში.

4.პროგრამას ჰყავს დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

5.მოდულებში განსაზღვრული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით იმ კორპუსის ბილიოთეკაში, სადაც განთავსებულია საექთნო განათლების პროგრამის აუდიტორები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რიგი სასწავლო მასალის ბეჭდური ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია მთავარ კორპუსში არსებულ ბიბლიოთეკაში. დაწესებულებამ წარმოადგინა ლიტერატურის გამოყენების ჩანაწერები. სასწავლო რესურსების ჩამონათვალში განსაზვრულია საკანონმდებლო აქტები, რომელთან ხელმისაწვდომობაც დასტურდება საკანონმდებლო მაცნესთან ხელშეკრულებით.

6.სასწავლო კორპუსში დამონტაჟებულია პანდუსი. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომლის მოვალეობებშიც შედის სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროების შეფასება და სასწავლო პროცესის და გარემოს მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფას (მაგალითად სასწავლო მასალის ადაპტირება, გარემოს მორგება, გამოცდის მორგება და სხვა).

PDF Eraser Free

7. პროფესიული პროგრამისთვის შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტში განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

წინარე ხელშეკრულებებით;
პროგრამის განმახორციელებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
მიღება-ჩაბარების აქტებით;
შესყიდვის ხელშეკრულებებით;
ვიზუალური დათვალიერებით;
ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.
ბიბლიოთეკის ფორმულარების ჩანაწერებით;
ინტერვიურებით;
პროგრამის ბიუჯეტით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმს. შეფასება ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს. რეგულაციით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პირობითი გრაფიკი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. რეგულაციის მიხედვით პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში.

2.საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პირობითი გრაფიკის მიხედვით პროგრამის განხორციელების შეფასება ხორციელდება ყოველი წლის ივნის-ივლისში, აგვისტოში ხდება, შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და პროგრამის ხელმძღვანელის/პერსონალისათვის გადაცემა, ხოლო სექტემბერში პროგრამის ხელმძღვანელი აკეთებს ანგარიშს გატარებული ღონისძიებების შესახებ. 2020 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ჩატარებული გამოკითხვების შედეგების გაანალიზება-შეფასება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;

2019-20 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმაში დაცულია წინაპირობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა გასაუბრებისას აღნიშნა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომ წინაპირობიანი მოდულების შემთხვევაში სწავლის შედეგების განმეორებითი დადასტურებისთვის გამოიყენება 1 კვირიანი ვადა.

სასწავლო გეგმაში მოდულის „ავადმყოფის მოვლა“ დასრულებისთანავე იწყება სამი მოდული, რომლის წინაპირობაცაა აღნიშნული.

რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში, წინაპირობების მქონე მოდულების შემთხვევაში, მოდულის დამთავრებასა და ახალი მოდულის დაწყებას შორის განისაზღვროს შუალედი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს კალენდარული გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირებს და შედგენის ვადებს.

2,4.პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს და პროცედურებს. რეგულაცია ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა შემთხვევას, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა. მათი განმარტებით აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის წარმომადგენლებთან და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდაციების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას სსს მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მედგენასთან დაკავშირებით.

3.სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. სასწავლო მოდულებით განსაზღვრულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა ინტერაქციული ლექცია, სემინარი, დისკუსია, კონკრეტული შემთხვევის შესწავლა,პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა მეთვალყურეობის ქვეშ.

5.პრაქტიკული სწავლების განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სს გორიმედთან, სს იავნანასთან და ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდ კარიტასთან“. ხელშეკრულებებს თან ახლავს ინფორმაცია იმ მოდულების შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს აღნიშნულ ბაზაზე, ასევე განსაზღვრულია კლინიკურ სწავლა-სწავლებაში ჩართული პირებისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი ფუნქციები, პასუხისმგებლობები, ვალდებულებები და უფლებამოსილებები. კლინიკის ვალდებულებებში განსაზღვრულია, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში უარი განაცხადოს სტუდენტთა სწავლების მიზნით მიღებაზე, თუ პროგრამის კლინიკური პრაქტიკის ნაწილის განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა აღემატება 1/7-ს. ონლაინ ჩართვის დროს გასაუბრება ჩატარდა პარტნიორი ორგანიზაციების „იავნანა“ და „გორიმედი“ წარმომადგენელთან. ინტერვიუსას პარტნიორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. ასევე ყურადღება გაამახვილა კადრების გადამზადების საჭიროებაზე, კადრების დეფიციტზე და ახალი კადრების მომზადების საჭიროებაზე.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში. C ტიპის სასწავლო გარემოში განთავსებულია სპეციალური კონტეინერი ნარჩენების განსათავსებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციაზე პასუხისმგებელ პირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

სასწავლო გეგმით,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი წესით;

დამტკიცებული კალენდარული გეგმის ფორმით;

ინტერვიურებით;

პროფესიული პროგრამით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის ფორმა. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ითვალისწინებს მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციას. შეფასების რგულაციაში განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის კრიტერიუმები. 2.შემუშავეული და დამტკიცებულია ასევე შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცედურას, მიმართულებებს და პრინციპებს, რისკების სისტემას, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირებაზე ინფორმაციას. ვერიფიკაციის მექანიზმი დამტკიცებულია 2020 წლის ივნისში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ამ ეტაპზე ვერიფიკაციის პროცესი ჯერ არ განხორციელებულა. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს უწყისის ფორმა. 3.შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რეგულაციით განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების 3 წლის ვადით შენახვა. შეფასების რეგულაცია ითვალისწინებს აპელაციის მექანიზმს.

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. რეგულაციაში არ არის განსაზღვრული რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს უკვე გამოყენებული თუ ახალი, რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრის გასწორება და შეფასება.

4.შეფასების რეგულაცია ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. რეგულაციის მიხედვით განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
დაწესებულებას 2020 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქვს შიდა ნორმატიული რეგულაციების განახლება.

რეკომენდაცია:

შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს რომელი ინსტრუმენტი (უკვე გამოყენებული თუ ახალი) გამოიყენება სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების დროს, რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დამტკიცებული უწყისის ფორმა;
ვერიფიკაციის მექანიზმი;
განმსაზღვრელი შეფასების წარმოდგენის ფორმა;
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2020 წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: